



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

15 ნოემბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №369

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო – საგანმანათლებლო ცენტრი“-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ღ“, „ს“ ქვეპუნქტების, მე-10¹ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო – საგანმანათლებლო ცენტრი“-მ გამარტივებული შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელების და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ხელახალი ტენდერის გამოცხადებამდე და ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენამდე, მოახდინოს ცენტრის ფილიალებისათვის 2340 (ორიათასსამასორმოცი) ლარის ღირებულების 0.5 მმ სისქის ზომისაგან დამზადებული საოჯახო ტექნიკის (შეშის ღუმელების, მიღების და მუხლების) შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის წესით.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო – საგანმანათლებლო ცენტრი“-ს დირექტორს (მ. ჭყონიას) მიღებული ბრძანების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო – საგანმანათლებლო ცენტრი“-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 6 ნოემბრის №338 ბრძანება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე